

ჭიათურის რაიონის კლდის ძეგლები  
(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)

ბაჩანა გაბეხაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

## აბსტრაქტი

საქართველოში, ქალაქ ჭიათურის რაიონში, მდ. ყვირილას და მის შენაკადთა კანიონებში, უამრავი კარსტული მღვიმის გარდა, მრავლადაა შემორჩენილი ისტორიულ ეპოქათა ხელოვნური გამოქვაბულები. ამ მხარის ბუნებრივი მღვიმეების ნაწილი, რომლებიც ინტენსიურად ყოფილა ათვისებული ადამიანის მიერ ქვის ხანის სხვადასხვა სტადიებზე, მრავალგზის გამხდარა ქართელი თუ საზღვარგარეთელი მეცნიერების კვლევის ობიექტი და მათ შესახებ მაღალი სამეცნიერო დონის მრავალი პუბლიკაციაც არსებობს.

ჯერ კიდევ ამ 4 წლის წინ, სულ სხვა მდგომარეობა იყო ამავე რაიონის ხელოვნური გამოქვაბულების შესწავლის მხრივ. ეს ძეგლები ჯერ კიდევ XVIII ს-ის დიდ ქართველ ისტორიკოსსა და გეოგრაფს, ვახუშტი ბატონიშვილს აქვს მოხსენიებული თავის ნაშრომში და მათთვის გარკვეული ყურადღება XIX-XX სს-ის მოგზაურ-მკვლევარებსაც მიუქცევიათ. გარდა ამისა, XX ს-ის მე-2 ნახევარში ზოგიერთ მათგანში, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით შეაღწიეს მოყვარულმა მკვლევარებმა და რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნეს ნანახი ვითარების შესახებ, თუმცა, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები საკმაო შორს იყო ამ ძეგლების პროფესიული შეფასებისგან – ვერ განისაზღვრა მათი ფუნქცია და შექმნის ეპოქა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის რაიონის ხელოვნური გამოქვაბულების ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით კვლევა, უკანასკნელ წლებამდე საწყის სტადიას არ გასცდენია.

მდინარე ყვირილას აუზის ხეობათა კლდეში ნაკვეთი ძეგლების გეგმაზომიერ ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევას, პირველად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რიონ-ყვირილას აუზის შემსწავლელმა მულტიდისციპლინურმა ექსპედიციამ ჩაუყარა საფუძველი 2011 წელს. ამ კვლევებში, დაწყებიდან დღემდე, მეც ვარ ჩართული.

ჩატარებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა, ხუროთმოძღვრულმა და არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ ამ გამოქვაბულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიადაც არ ყოფილა მხოლოდ შუა საუკუნეების თავდაცვითი მნიშვნელობის სახიზრები, როგორც ეს მოგზაურ მკვლევარებს ეგონათ. კერძოდ, მდ. ყვირილასა და მისი შენაკადი ხეობების ზოგიერთ, კლდეში საკმაოდ უხეშად ნაკვეთ

გამოქვაბულთა კომპლექსში ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდის ადამიანთა ცხოვრების საკმაოდ ინტენსიური მატერიალური კვალი აღმოჩნდა. ამ აღმოჩენის შედეგად, უკვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ეპოქებში დასავლეთ დაქართველოს ამ რეგიონშიც ისევე ყოფილა გავრცელებული კლდეში ნაკვეთ საცხოვრებლებში ბინადრობის ტრადიცია, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურდა უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე.

გარდა ამისა, ჭიათურის რაიონის აღნიშნულ ხეობებში რამდენიმე, დღემდე სრულიად უცნობი კლდეში ნაკვეთი უდაბნო-მონასტერი დადასტურდა. მაგალითად საყოველთაოდ ცნობილი მღვიმევის მონასტრის (XIII ს) მიდამოებში, მივაკვლიეთ კლდეში ნაკვეთ ორნავიან ეკლესიას და ბერების საცხოვრებელ გამოქვაბულ სენაკებს, რომლებიც VII-VIII სს-ით თარიღდება; ამავე პერიოდს განეკუთვნება თირის ეკლესიის მიმდებარე სამონასტრო კომპლექსი, რომლის ერთ-ერთი გამოქვაბულის იატაკში დაყუდებული ბერის სადგომ ჭას მივაკვლიეთ; მის ფსკერზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღნიშნული ეპოქის ნივთიერი მასალის ნაშთებიც აღმოჩნდა. ოდნავ გვიანდელი, IX-X საუკუნისა უნდა იყოს სოფ. სვერთან აღმოჩენილი კლდეკარის წვაბოვანი მონასტერი დიდი გამოქვაბული ეკლესიითურთ, რომელიც ქართული ქართული კლდის ხუროთმოძღვრების შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენი კვლევები იმერეთის რეგიონის კლდეში ნაკვეთი მონასტრების მოსამიებლად და შესასწავლად გრძელდება, მაგრამ უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ რადიკალურად შეიცვალა ქართულ მეცნიერებაში ბოლო დრომდე დამკვიდრებული აზრი იმის თაობაზე, თითქოს ადრეულ შუა საუკუნეებში, მნიშვნელოვანი გამოქვაბული მონასტრები მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

## **Abstract**

In Georgia, in the environs of the town Chiatura, in the canyons of the river Kvirila and its tributaries, apart from numerous karstic caverns, there are artificial caves of historic epochs, the entrance walls of which in most cases were built with limestone. In the several stages of the stone age, part of those caverns were intensively used by humans. Those objects were target of the interest of Georgian and foreigner scientists and there exist different world wide publications about those subjects.

In the researches of the artificial caves of this region there was another circumstance even four years ago. Those monuments are mentioned in the sources of great geographer Vakhushti Bagrationi (Batonishvili). In XIX-XX cc. those monuments have attracted foreigner travelers and researchers. During the XX century, enthusiastic researchers using alpinist equipment reached some of them and these scientists even published in the magazines and newspapers several articles about the circumstances seen by them; however, considerations expressed by these researchers were rather far from professional evaluation of these monuments – the functions and the epoch of cavern creation have not been defined.

Thus, until the previous years. historical-archaeological researches of artificial caverns of Chiatura region was on the origin stage.

The serious, systematic scientific research of the cut in the rock monuments situated in the river Kvirila basin canyons was initially started by the multidisciplinary expedition of Ilya State University studying the basin of the rivers Kvirila and Rioni in 2011.

Historical-geographical, architectural and archaeological researches have proved, that majority of those caverns were not only the defence shelters of Middle Ages, as it was believed by researcher-travelers. Into the particular roughly rock-cut caverns, situated in the valleys of Kvirila river and it's tributaries there were found material trace of human's intensive living from different periods of Bronze Age. This discovery is convincing us that in the mentioned epochs, on the pointed out region of the west Georgia, there were quite wide-spread tradition of living into the cave settlements, as it already is confirmed in the east Georgia, which is proved into the carried out scientific researches during the last decades.

The architectural works have proved that important part of the given caves were not at all only the defence shelters – here several, cut in the rock, completely unknown until

today, desert-monasteries were revealed. For example: around the area of the world-wide famous Mgvimevi Monastery (XIII century) we have found cut in the rock two-nave church and monastic cave cells for monks that were dated back to VII-VIII centuries; the monastery complex located within neighboring area of Tiri Church, belongs to the same period of time; one of the shelter wells for a secluded anchorite monk, located in the monastery complex cave floor, was discovered; as a result of archaeological excavations provided on the bottom of the cell, remains of the material evidences related to the mentioned above epoch were also revealed.

Kldekari cave monastery with the large cavern church discovered in adjacent to the village Sveri territory, should be dated from slightly later period - IX-X centuries; the monastery can be considered as a masterpiece of the Georgian rock architecture.

Our researches concerning discovery and study of the cut in the rockmonasteries of Zemo Imereti region are still being continued, however even by now it can be stated that considerations established until recently in the Georgian scientific and academic circles that important cave monasteries of the early medieval centuries existed only in East and South Georgia, have drastically changed.